ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5742470

ნომერი: AR1869612

თარიღი : 23.12.2021

გაცემის თარიღი : 24.12.2021

გაცნობის თარიღი : 24.12.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა, N 138-140/ხრესილის ქუჩა, N 2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა ნუცუბიძე პ/ნ 01005013245
- ქ.თბილისი დ.აღმაშენებლის 195

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 16 აპრილის №5359484 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 23 დეკემბერს №AR1869612 განცხადებით მომართა პაატა ნუცუბიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის 16

აპრილის №5359484 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, 2021 წლის 16 აპრილის №5359484 ბრძანებით შეთანხმდა №01.12.12.018.059 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 16 აპრილიდან 2022 წლის 16 ოქტომბრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2021 წლის 16 აპრილის №5359484 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე 4 ღია ავტოსადგომის (№15-№18) ფართობად 56.5 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ღია ავტოსადგომების ჯამური მაჩვენებელი შეადარა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ -2.80 ნიშნულის გეგმაზე დაფიქსირებულია 4 ღია ავტოსადგომი საერთო ფართობით 56.5 კვ.მ. შესაბამისად, სამსახურის 2021 წლის 16 აპრილის №5359484 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე შესაძლებელია დაფიქსირდეს 4 ღია ავტოსადგომის ფართობი - 56.5 კვ.მ. ამასთან, -2.80 ნიშნულის გეგმა არ იცვლება.
საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (განცხადების რეგისტრაცია – №882021952157, მომზადების თარიღი: 09/11/2021 წ.) №01.12.12.018.059 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,ჯორჯიან ბილდინგ გრუპ +" (ს/ნ: 405164343). ხოლო მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B21059482, მომზადების თარიღი: 14/06/2021 წ.) თანახმად, შპს ,,ჯორჯიან ბილდინგ გრუპ +" (ს/ნ: 405164343) ხელმძღვანელობაზე / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ზვიად იმედაშვილი (პ/ნ: 08001005673). ხოლო, მის მიერ 2021 წლის 1 აპრილს გაცემული №210306405 მინდობილობით დგინდება განმცხადებლის - პაატა ნუცუბიძის უფლებამოსილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 16 აპრილის №5359484 ბრძანებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 16 აპრილის №5359484 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 56.5 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 16 აპრილის №5359484 ბრძანებით შეთანხმებული -2.80 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 16 აპრილის №5359484 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 16 აპრილის №5359484 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.